რეგ. № _____ **თარიღი:** __ _____ __

(ივსება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოპერატორის მიერ)

დანართი N10.
დამტკიცებულია სემეკის 2024 წლის 9 ივლისის
N25/1 გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

შპს „საქართველოს მელიორაციას“

საირიგაციო სისტემაზე შეჭრის და აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ

განმცხადებლის საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს აღნიშნული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

როდესაც, ტექნიკური პირობის შესაბამისად, მიერთების მსურველი თავად (თვითონ ან სხვა პირის მეშვეობით) უზრუნველყოფს მიერთებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, იგი ვალდებულია ობიექტის მიერთების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ განაცხადით მიმართოს მიმწოდებელს აღრიცხვის კვანძის მოწყობის და ქსელზე შეჭრის სამუშაოების განხორციელების მოთხოვნით. ამასთან, იგი ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე წინასწარ გადაიხადოს „მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის“ 50 პროცენტი, მის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის რაოდენობის მიხედვით (ამ მრიცხველებზე, №3 დანართით განსაზღვრული შეთავაზებული პაკეტის შესაბამისად), ხოლო დანარჩენი თანხა გადაიხადოს წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია ახალი მომხმარებლის საირიგაციო სისტემაზე მიერთების სათანადო განაცხადის მიღებისთანავე დაიწყოს განაცხადის შესწავლა და მოთხოვნილი მიერთების უზრუნველყოფისათვის საჭირო მოქმედების განხორციელება.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებგვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216. კომისიისადმი მიმართვა ასევე შეგიძლიათ სსიპ „იუსტიციის სახლის“ მეშვეობით.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“ „_____“ 20__ წელი;

განცხადების ადრესატი: შპს „საქართველოს მელიორაცია“;

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

1. მიერთების მსურველი (განმცხადებლი): _____;

(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის შემთხვევაში- სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: _____;
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი: _____;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე:

__-__-__-__-__-__ - ძირითადი;

(მობ. ნომერი)

__-__-__-__-__-__ - ალტერნატიული[1];

(მობ. ნომერი)

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ძირითადი;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

---

[1] თუ განმცხადებელი ალტერნატიულ ნომერს არ მიუთითებს, განცხადება არ უნდა დახარვეზდეს ამ მიზეზით. ამასთან, განმცხადებელი პასუხისმგებელია აღნიშნულიდან გამომდინარე შედეგებზე.

4. მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები:_____;

II. ძირითადი ინფორმაცია

5. დაზუსტებული ადგილი (მისამართი), სადაც უნდა მოხდეს საირიგაციო წყლით მომარაგება:_____;
6. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი[2], სადაც უნდა მოხდეს საირიგაციო წყლით მომარაგება:_____;
7. ობიექტის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ტექნიკური პირობის:
№:_____; გაცემის თარიღი:_____; მოქმედების ვადა:_____;
8. საირიგაციო წყლის მოხმარების მიზანი: ☐ პროფილური (საირიგაციო); ☐ არაპროფილური (არასაირიგაციო);
9. პროფილური მომხმარებლის შემთხვევაში, ასევე მიუთითეთ რწყვის მეთოდი:
☐ წვეთოვანი; ☐ დაწვიმებით; ☐ მოღვარვით; ან ☐ სხვა მეთოდით:_____;
10. არაპროფილური მომხმარებლის შემთხვევაში, ასევე მიუთითეთ კონკრეტულად რა მიზნით განხორციელდება წყლის მოხმარება:_____;

III. ძირითადი მოთხოვნა:

11. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ გაცემული ახალი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობისა და საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის დაცვით შესრულებულია ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. გთხოვთ, კომისიის მიერ დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესების (შემდგომში - წესები) დანართი №3-ით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოთ საირიგაციო სისტემაზე შეჭრისა და აღრიცხვის კვანძის მოწყობის სამუშაოები.
12. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემს მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

IV. დამატებითი ინფორმაცია:

13. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ამ განაცხადზე შეტყობინების გაგზავნის ფორმა:
☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.
14. განაცხადში მოცემული ტელეფონი ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი გამოყენებულ იქნეს საირიგაციო წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: ☐ დიახ, ან ☐ არა;

V. თანდართული დოკუმენტაცია:

15. საირიგაციო სისტემაზე შეჭრისა და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ☐;
16. წყალსარგებლობის განრიგი (სურვილის შემთხვევაში)[3] ☐;
17. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში):___☐;
18. დანართი სულ:_____ფურცელი.

ხელმომწერის:
სახელი, გვარი:_____;
ხელმოწერა:_____.

---

[2] ფიზიკური პირის შემთხვევაში - უძრავი ქონების საკადასტრო კოდის ნაცვლად, შესაძლებელია, განაცხადზე თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

[3] შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის გარეშე წყლის მოხმარება წარმოადგენს წყლის უკანონო მოხმარებას და მასზე გავრცელდება კანონმდებლობით წყლის უკანონო მოხმარებაზე დადგენილი პირობები.